

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა
ერთობლივი განცხადება

საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მისი წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელმძღვანელი ორგანოების, სამეურვეო საბჭოს და გენერალური დირექტორის მჭიდრო და ეფექტურ თანამშრომლობაზე, რომელიც მიმართული უნდა იყოს, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის კანონით დასახული მიზნის მიღწევაზე, იყოს პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და სამართლიანი პრინციპების დამცველი. რა თქმა უნდა სტრუქტურათა ურთიერთობის ასეთი თანხვედრა, უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების რეგულაციებზე. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით განსაზღვრულია სამეურვეო საბჭოს ფუნქციები და მეურვის უფლება-მოვალეობები. დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ

„ბ) გენერალური დირექტორის წარდგინებით, სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რედაქციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას; უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან გენერალური დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს დებულებაში;

გ) გენერალური დირექტორის წარდგინებით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს და ამტკიცებს მისი შესრულების ანგარიშს; უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან გენერალური დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს ბიუჯეტში;

თ) ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების ძირითად პირობებს, მათ შორის, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებს, იმის გათვალისწინებით, რომ შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს, გარდა საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა, რომელთა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 5 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს (გამონაკლისია ისეთი პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადაც 1 წელზე ნაკლებია)

მოგმართავთ წინადადებით:

„ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში ამოღებულ იქნას სიტყვები „საკუთარი ინიციატივით“, რამდენადაც დებულების და ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურაში, ამ ჩანაწერით ირღვევა სტრუქტურათა მონაწილეობის ბალანსი. მიგვაჩნია, რომ მოცემული დოკუმენტების მიღების და ცვლილების პროცედურა უნდა იყოს ერთნაირი და თანმიმდევრული.

„თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს სრულად, რამდენადაც იგი პირდაპირ მენეჯმენტის მარეგულირებელი ნორმაა, რაც პრაქტიკულად საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ფუნქციაა და მისი ამჟამინდელი მოქმედება ზღუდავს მის უფლებამოსილებას

ამ მიმართულებით. „თ“ ქვეპუნქტის ეს რედაქცია დამატებულ უნდა იქნეს კანონის 32-ე მუხლში

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ ცვლილებების მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს და გენერალურ დირექტორს არსებული კანონით მკაფიოდ არ აქვს გამიჯნული უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები. სამეურვეო საბჭოს კანონის ამ მუხლების შესაბამისად მინიჭებული აქვს უპირატესი უფლება მაუწყებლის მართვის საკითხებში, რადგან მას საკუთარი ინიციატივით დირექტორთან შეთანხმების გარეშეც აქვს უფლება შეცვალოს ბიუჯეტი და დებულება, რომლის ნაწილიცაა სტრუქტურა.

გენერალურ დირექტორს ეს კანონი არ აძლევს საშუალებას პასუხისმგებლობა აიღოს მაუწყებლის როგორც სტრუქტურული მართვაზე, ისე ბიუჯეტის მართლზომიერ განკარგვაზე, რაც უკიდურესად ზღუდავს დირექტორის უფლება-მოვალეობებს. ვფიქრობთ, ასეთი რამ ახდენს თავად მაუწყებლის მუშაობის პარალიზებას და შეიცავს მენეჯმენტსა და სამეურვეო საბჭოს შორის მუდმივი უთანხმოების საშიშროებას.

ეს კანონი გენერალურ დირექტორს აქცევს სრულად დამოკიდებულს სამეურვეო საბჭოს ნება-სურვილზე და მას არ აქვს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების და შემდგომ ამ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის სამართლებრივი ბერკეტები, რაც საბოლოო ჯამში ინერტულს ხდის დირექტორის ქმედებს და ის შესაძლოა იქცეს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებების უსიტყვო შემსრულებლად ან/და ნებისმიერი ქმედების პასუხისმგებლობის სიმძიმე დააკისროს სამეურვეო საბჭოს.

კანონის ეს მუხლები ასევე არღვევს სამეურვეო საბჭოს მთავარ არსობრივ პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ის უნდა იყოს გენერალური დირექტორის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანო, რადგან ამ მუხლების შედეგად ის თავად ხდება საკუთარი გადაწყვეტილებების მიმღებიც და მაკონტროლებელიც.

ეს მუხლები არის მხოლოდ ნაწილი იმ ცვლილებების, რომლის წარდგენასაც ვგეგმავთ პარლამენტის წინაშე, რადგან კანონის მაუწყებლის შესახებ თავი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ჩვენი აზრით შეიცავს კიდევ მრავალ ისეთ სწავითს, რომლის ჩასწორებაც აუცილებელია კანონში, რათა მაუწყებელს ქონდეს უფრო მეტად სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

30/12/16 68

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები:

შოთა ჩარაიანი
 (ქ.ბრიჯი) 577500326
 ი. ქაჯაია (ი. დობეგია)
 ა. ჯორჯია (ა. გოგოჯია)
 ვ. ჯორჯია (ვ. ჯორჯია)
 ა. მელიქიანი (ა. მინდიაშვილი)
 ე. ზორბაძე (ე. ზორბაძე)
 თ. ხოლოძე (თ. ხოლოძე)
 მ. ჯორჯია (მ. ჯორჯია)
 დ. ვაჟაძე
 მ. ჯორჯია (მ. ჯორჯია)

19.12.2016 წ.